ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №162

"27 " ივნისი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა** გამგებლის **კობა მაისურაძის** სახით, შემდგომში წოდებული "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **შპს „სპილო"** ხელმძღვანელის **ზურაბ მაისურაძე** სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა). კოდი 452

2. ხელშეკრულების ობიექტი

''მიმწოდებელი'' ვალდებულია ''შემსყიდველს'' შეუსრულოს **დაკვეთილი** სამუშაოები.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადაა 2011 წლის 1-ოქტომბრამდე ხელშეკრულების გაფორმებიდან შესყიდვის ობიექტის დადგენილი წესით მიღებამდე.

3.2. სამუშაოს მიწოდების თარიღად ითვლება ორივე მხრისგან ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი და სამშენებლო ფორმები (ფორმა №2, ფორმა №3).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ''შემსყიდველის'' მიერ დამტკიცებულ საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრულ პარამეტრებს.

4.2. ''მიმწოდებელი" ვალდებულია ''შემსყიდველს'' მისცეს გარანტია, რომ მიწოდებული სამუშაო არის შესრულებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს ამ სფეროში. ასევე მიწოდებულ სამუშაოს არ გააჩნია კონსტრუქციის (მასალის, აწყობის) ან სხვა წუნი, რომელიც აუარესებს გამოყენების მაჩვენებელს.

4.3. ''შემსყიდველი'' ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს ''მიმწოდებელს'' წუნის აღმოჩენის შესახებ.

4.4. შეტყობინების მიღების შემდეგ ''მიმწოდებელი'' ვალდებულია აღმოფხვრას წუნი.

4.5. თუ ''მიმწოდებელი'' წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებას, ''შემსყიდველს'' უფლება აქვს ''მიმწოდებლის'' ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული აუცილებელი ოპერაციები ან რისკის მიუხედავად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ''შემსყიდველმა'' უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი დამტკიცებულ საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მიმართებაში..

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს, „შემსყიდველი''

''მიმწოდებელთან'' ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს''.

5.4. შესყიდვის ობიექტის (ეტაპების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ''შემსყიდველისა'' და ''მიმწოდებლის'' უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4500(ოთხიათასხუთასი)** ლარს. (ფასდათმობების გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

7. ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ. ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა), გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში-ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. მიწოდებული სამუშაოს 100 %-ით ანაზღაურება ხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ.

8.2. ''მიმწოდებლის'' მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ ''შემსყიდველისადმი'' შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, სამუშაოს შესრულების შესახებ დოკუმენტების დართვით.

8.3. ''შემსყიდველი'' ვალდებულია ანაზღაურება განახორციელოს უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30(ოცდაათი) დღისა .ანგარიშ-ფაქტურის ან მიმწოდებლის მოთხოვნის მიღების დღიდან.

8.4. ''მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

8.5. სამუშაოს ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ''შემსყიდველი'' და ''მიმწოდებელი'' მოქმედებს ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის სრული დაცვით.

9.2. ''შემსყიდველი'' ვალდებულია: საქმის კურსში ჩააყენოს ''მიმწოდებელი'' ყველა გარემოების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას სამუშაოს შესრულების დამოწმებიდან 30 დღის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაუფინანსებლობის შემთხვევაში აუნაზღაუროს''მიმწოდებელს''ის შესაძლო საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება მას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად (დ.ღ.გ., საშემოსავლო, ჯანდაცვის, მოგების, ქონების,სამეწარმეო, საგზაო, სოც.დაზღვევის, დასაქმების, საპენსიო, სამედიცინო გადასახადები).

9.3. ''შემსყიდველს'' უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ''მიმწოდებლის'' მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ ''მიმწოდებლის'' მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი, აღმოჩნდა, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებით.

9.4. ''მიმწოდებელი'' ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;დააკმაყოფილოს ''შემსყიდველის'' მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით. საავანსო წესით მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ მიზნობრივად;

9.5. ''მიმწოდებელს'' უფლება აქვს: -მოსთხოვოს ''შემსყიდველს'' მიწოდებული სამუშაოს მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე ''შემსყიდველის'' მხრიდან ანხორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

11.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას.

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის ''მიმწოდებელს'' ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,05 პროცენტის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5პროცენტს, ''შემსყიდველს'' უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ფორს-მაჟორული სიტუაციები

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 2 თვეზე მეტ ხანს , მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

12.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და საბოლოო ანგარიშსწორების შედეგი დგინდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულება იდება 2011 წლის 1-ოქტომბრამდე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1.მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
15.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
15.4. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.6. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.7. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე, ცნებების განმარტებისას, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.8. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.9. სამშენებლო სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

''შემსყიდველი''	„მიმწოდებელი“
ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა ჩოლოყაშვილის ქ.№49 ს/ნ-224631165 ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ახმეტის ფილიალი ბ/კ LBRTGE22 ა/ა-GE67LB0120113462310000	შპს“სპილო“ ქ. ახმეტა,სტალინის ქ.№75 ს/ნ-424611192 “პროკრედიტ ბანკის“ თელავის. კვანძგარეტა სალარო ბ/კ –MABGGE22 ა/ა-GE76PC0273600100011164

„შემსყიდველი“ /კობა მაისურაძე/

''მიმწოდებელი'' /ზურაბ მაისურაძე/